

შპს აჭარა სამეტ ტექსტილი
ს/კ (445558860)

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი


ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს მდგომარეობით	3
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის	4
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის	4
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	5
1. ზოგადი ინფორმაცია	5
2. მომზადების საფუძველი	5
3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	5
4. ფული და ფულის ექვივალენტები	9
5. სავაჭრო მოთხოვნები	9
6. ძირითადი საშუალებები	9
7. არამატერიალური აქტივები	9
8. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	9
9. შემოსავალი რეალიზაციიდან და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	10
10. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	10
11. ხელფასები და სხვა სარგებელი	10
12. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	10
13. რეალური ღირებულებების და რისკების მართვა	11

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	31-12-22	31-12-21	31-12-20
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	4	1085	325950	2896676
სავაჭრო მოთხოვნები	5	1819020	5804	0
გადახდილი ავანსები		12974820	8900330	0
მარაგები		893392	149877	59322
სულ მოკლევადიანი აქტივები		15688317	9381961	2955998
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	6	5190	4552	31678
სულ გრძელვადიანი აქტივები		5190	4552	31678
სულ აქტივები		15693507	9386513	2987676
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სხვა ვალდებულებები		0	0	441429
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		0	0	441429
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	9	-	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-	-
სულ ვალდებულებები		0	0	441429
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		72414	19013	0
(აკუმულირებული ზარალი)/გაუნაწილებელი მოგება		15621093	2546247	9367500
სულ საკუთარი კაპიტალი		15693507	9386513	2546247
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		15693507	9386513	2987676

დირექტორი

აჯემოდულლარი



უმიტ

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	2022	2021
შემოსავალი მომსახურებიდან	9	8148435	6035522 (1128969)
მომსახურების თვითღირებულება	9	(1539306)	()
საერთო მოგება		6609129	4906553
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	10	(21672)	(37537)
ხელფასები და სხვა სარგებელი	11	(265574)	(213674)
ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი		(1421)	(818)
იჯარი ხარჯი		(52917)	(52637)
სხვა შემოსავლები/ხარჯი		(13951)	(3664)
საოპერაციო მოგება		6253594	4598223
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		6253594	4598223

დირექტორი

აჯემოლულლარი

უმიტ

კაპიტალის/ცვლილებების ანგარიშგება 31 დეკემბრით
დასრულებული წლისათვის

	2022	2021	2020
ნაშთი წლის დასაწყისში	9386513	2,546247	-
წმინდა (ზარალი)/მოგება	6253594	4598223	2545092
საწესდებო კაპიტალის ზრდა	53400-	-	1155
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		2242043	
ნაშთი წლის ბოლოს	15693507	9386513	2,546247

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

მპს აჭარა სამეტ ტექსტილი წარმოადგენს საქართველოში რეგისტრირებულ მეწარმე იურიდიულ პირს. კომპანიის იურიდიული მისამართი და საქმიანობის ძირითადი ადგილი არის საქართველო. კომპანია დაფუძნებულია 2019 წელს. მისი ძირითადი საქმიანობის სახეს წარმოადგენს ნაქსოვი და ტრიკოტაჟის სხვა ტანსაცმლის წარმოება. კომპანიის პარტნიორები და მათი შესაბამისი წილები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

პარტნიორი	2022 %	2021 %
68080255284, უმიტ აჯემოლულლარი	100	100
სულ	100	100

2. მომზადების საფუძველი

კომპანია საქართველოში მოქმედი ბუღალტრული და საანგარიშგებო რეგულაციების მიხედვით წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს და ამავე რეგულაციებით მას მოეთხოვება ფინანსური ანგარიშგების მომზადება და წარდგენა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. აქედან გამომდინარე, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად და წარმოდგენილია ქართულ ვალუტაში - ლარში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით. თითოეული კატეგორიის აქტივებისა და ვალდებულებების შეფასების დეტალები განხილულია ქვემოთ მოცემულ შენიშვნებში. კომპანია თავისი არსებობის მანძილზე ეტაპობრივად ანვითარებს და აუმჯობესებს წარმოებულ პროდუქციას, ასევე ზრდის ასორტიმენტს და მიზნად ისახავს უფრო მრავალფეროვანი პროდუქცია შესთავაზოს თავის მომხმარებლებს.

3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

3.1 ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან იგი ყველაზე უკეთ ასახავს კომპანიის ოპერაციებისა და კომპანიის სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს.

მოცემული ფინანსური ანგარიშგებები წარმოდგენილია ლარში. ყველა ფინანსური მონაცემი წარმოდგენილი ლარებში დამრგვალებულია.

უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივების და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგებისა და ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური სავალუტო კურსები შემდეგია:

თარიღი	აშშ დოლარი	ევრო
2021 წლის 31 დეკემბერი	3.0976	3.5040
2022 წლის 31 დეკემბერი	2.7020	2.8844

3.2 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, მათ შორის იურიდიულ და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, აგრეთვე აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან. რაც შეეხება მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს, ისინი აღირიცხება მათი გაწევისას პერიოდის ხარჯად.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული

მიზნების შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს ძირითადი საშუალებების ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის მანძილზე. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობებს ცვეთა არ ერიცხება. აქტივზე ცვეთის დარიცხვა წყდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება. რაც შეეხება ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს, შემდეგია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
ოფისის აღჭურვილობა	5
მანქანა-დანადგარები	5

აქტივების მომსახურების ვადის დადგენისას გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: 1. კომპანიის მიერ აქტივის მოსალოდნელი გამოყენების რეჟიმი; 2. სავარაუდო ფიზიკური ცვეთა, რომლიც დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორებზე; 3. ტექნიკური ან კომერციული მოძველება, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს არსებული პროცესების მოსალოდნელი ცვლილებებით ან გაუმჯობესებით; 4. აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები.

კომპანიას არჩეული აქვს თვითღირებულების მოდელი. შესაბამისად, არ ხდება ძირითადი საშუალებების საბაზრო ღირებულებაზე გადაფასება.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწერის დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) შედის იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა.

აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და სასარგებლო მომსახურების ვადის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში კორექტირება ხდება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს.

3.3 გადასახადები

მოგების გადასახადის მიმდინარე ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. გადავადებული აქტივებისა და ვალდებულებების დაანგარიშება მიმდინარე სხვაობებთან მიმართებაში ხდება ვალდებულებების აღრიცხვის მეთოდით.

2017 წლის 1 იანვრიდან სამეურნეო სუბიექტების მიერ მიღებული წლიური მოგება საქართველოში არ იბეგრება, გარდა სადაზღვევო კომპანიებისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ბანკებისა. მოგების გადასახადი ირიცხება დივიდენდებზე, რომელიც გაიცა ფიზიკურ პირებზე ან საქართველოს არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე 15/85 წმინდა განაწილებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან გაცემული დივიდენდები იბეგრება მოგების გადასახადით გამოანგარიშებამდე მთლიანი მოგების დადგენილ ღირებულებაზე, რომელიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლით, რომელიც ითვლება როგორც დასაბეგრ მოგებაზე გამოცხადებული და გადახდილი მოგების გადასახადის წილი იმავე წლის მთლიან წმინდა მოგებაში, გამრავლებული გასაცემ დივიდენდებზე. აღსანიშნავია, რომ საგადასახადო ჩათვლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილ რეალურ მოგების გადასახადს.

საქართველოში აგრეთვე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადები, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები აღირიცხება ზოგად და ადმინისტრაციულ ხარჯებში.

3.4 შემოსავალი

ამონაგები არის შემოსავალი, რომელიც წარმოიქმნება კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში. კომპანიის ამონაგები შედგება მის მიერ პროდუქტის ექსპორტზე გაყიდვით მიღებული შემოსავლებისაგან.

კომპანია შემოსავალს აღიარებს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ შემთხვევაში, როდესაც იზრდება აქტივის ზრდასთან ან ვალდებულების შემცირებასთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი და ამგვარი ცვლილების სიდიდის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან გამოიქვითება ყველანაირი გაცემული სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდასა და მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის თანხა. ამონაგებში არ გაითვალისწინება მესამე მხარის სახელით / სასარგებლოდ მიღებული თანხები, როგორცაა, მაგალითად სახელმწიფოს სახელით ამოღებული დამატებითი ღირებულების გადასახადი. სააგენტო ურთიერთობებში, როდესაც კომპანია რწმუნებულის როლში გამოდის, ამონაგებში ჩაირთვება მხოლოდ საკომისიოს სახით მიღებული თანხები.

3.5 ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი მოიცავს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის, მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოებად (შრომის ანაზღაურება და ბონუსები) ითვლება ის გასამრჯელოები, რომლებიც მთლიანად უნდა იქნეს გადახდილი იმ საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში, როდესაც დაქირავებულმა პირმა მომსახურება გასწია. საწარმო დაქირავებულ პირთა გასამრჯელოებთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს აღიარებს, როგორც ვალდებულებას და როგორც პერიოდის ხარჯს.

3.6 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები.

კომპანია ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს იჯარის, კომუნალურ, რეკლამისა და სხვა იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც საჭიროა კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

4. ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიას ფული სრულად აქვს განთავსებული საბანკო ანგარიშებზე.

5. სავაჭრო მოთხოვნები

კომპანიის სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად უკავშირდება რეალიზაციებს.

6. ძირითადი საშუალებები

ძირითად საშუალებებზე 2022 წლის მოძრაობა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

დასახელება

2022

ლარი

მანქანა დანადგარები	5190
სულ ძირითადი საშუალებები	5190

7. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი, ფიზიკური ფორმის გარეშე. ამ შემთხვევაში, შპს -ს არ გააჩნია არამატერიალური აქტივი.

8. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები

კომპანიას არ გააჩნია სასესხო ვალდებულებები.

9. შემოსავალი რეალიზაციიდან

დასახელება	2022 ლარი	2021 ლარი
შემოსავალი პროდუქტის რეალიზაციიდან	8148435	6035522
სულ შემოსავალი	8148435	6035522

10. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ჩაშლა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

დასახელება	2022 ლარი
ხელფასი	265574
ცკეთა	1421
სხვა საერთო ხარჯი	21672
იჯარა	52917
სულ ადმინისტრაციული ხარჯები	341584

11. ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი მოიცავს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას, დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. აღნიშნულ სარგებელში ასევე შედის კომპანიის წილი 2% საპენსიო სარგებელი, რომელსაც კომპანია უმატებს თანამშრომელს საკუთარი სახსრებით.

12. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ აღგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენას, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას ან დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნებას.

13. რეალური ღირებულებები და რისკების მართვა

რეალური ღირებულება არ არის ისეთი შეფასება, რომელიც საწარმოს სპეციფიკის გათვალისწინებით განისაზღვრება, არამედ საბაზრო მონაცემებზე დაფუძნებული შეფასებაა. ზოგიერთი აქტივისა და ვალდებულებებისთვის შეიძლება ხელმისაწვდომი იყოს ემპირიული საბაზრო ოპერაციები, ან საბაზრო ინფორმაცია. სხვა აქტივების ან ვალდებულებებისთვის შეიძლება არ არსებობდეს ემპირიული საბაზრო ოპერაციები, ან საბაზრო ინფორმაცია. თუმცა, ორივე შემთხვევაში, რეალური ღირებულების შეფასების მიზანი ერთი და იგივეა: განისაზღვროს ფასი, რომლითაც განხორციელდებოდა აქტივის გაყიდვის, ან ვალდებულების გადაცემის ნებაყოფლობითი ოპერაცია ბაზრის მონაწილეებს შორის, შეფასების თარიღისთვის, მიმდინარე საბაზრო პირობებში (ე.ი. გასვლის ფასი შეფასების თარიღისთვის, ბაზრის მონაწილის პოზიციიდან, რომელიც არის აქტივის მფლობელი, ან, რომელსაც აქვს ვალდებულება). ხელმძღვანელობას სჯერა, რომ კომპანიის აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება არსებითად არ განსხვავდება მისი მისი საბალანსო ღირებულებებისგან.

რისკების მართვა

ზოგადად, რისკის მართვის სისტემას რაც შეეხება კომპანიის ხელმძღვანელებს ეკისრება საერთო პასუხისმგებლობა რისკების მართვისა და მონიტორინგზე. კომპანიის რისკის მართვის პოლიტიკა შემუშავებულია რისკის გავლენის განსაზღვრისთვის და ანალიზისთვის.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის კომპანიის ფინანსური დანაკარგის რისკი, როდესაც მომხმარებლები ან ფინანსური ინსტრუმენტის მეორე მხარე არ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და კომპანიას ძირითადად წარმოუშვება ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები. ამ მხრივ შპს აჭარა სამეჭო

ტექსტილი არ აქვს მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკი, და ხელმძღვანელიც არ ელის ამ რისკთან დაკავშირებულ ფაქტორების გამოვლენას.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობა არის ფირმის შესაძლებლობა გადაიხადოს თავისი დავალიანება ზარალის გარეშე. ლიკვიდურობის რისკი გამომდინარეობს იმ ინვესტიციის რეალიზების არარსებობიდან, რომლის ყიდვა ან გაყიდვა შეუძლებელია საკმარისად სწრაფად, რათა თავიდან იქნას აცილებული ან შემცირდეს ზარალი. ეს, არის რისკი იმისა რომ კომპანია ვერ შეძლებს დაფაროს თავისი ფინანსური ვალდებულებები ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივების მეშვეობით. ამ კუთხით კომპანიის მართვის გეგმა ის არის რომ ყოველთვის კეთდებოდეს მონიტორინგი, მიმდინარე ვალდებულებებისა და აქტივების შესახებ და მისი ანალიზი.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს ბაზარზე ფასების ცვლილებას. საბაზრო რისკი არის ინვესტორს ზარალის ანაზღაურება იმ ფაქტორების გამო, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსური ბაზრების მთლიან საქმიანობაზე, რომელშიც ის მონაწილეობს. საბაზრო რისკი, რომელსაც ასევე „სისტემურ რისკს“ უწოდებენ, ვერ აღმოიფხვრა დივერსიფიკაციის გზით, თუმცა მისი დაცვა შესაძლებელია სხვა გზით.

საბოლოო ჯამში, კომპანია ცდილობს გაუკეთოს ანალიზი საქმიანობასთან დაკავშირებულ რისკებს, გამოიკვლიოს ისინი, შეადაროს წინა მონაცემებს, გაუწიოს მონიტორინგი და ამაზე დაყრდნობით თავიდან აიცილოს რისკების წარმოშობა.